პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 249 (13334) | ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად

მხარი დავუჭიროთ ჭიათურელთა შესანიშნავ ინიციატივას!



ჭიათურელები წინასაყრილობო შრომითს ვახტზე •

ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ!

საქართველოს მრეწველობის ყველა მუშაკს

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის ინიციატივით გაიმართა ქალაქ ჭიათურის პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრება.

მარგანეცის საწარმოების მუშაობის 9 თვის შედეგებსა და შემდგომ ამოცანებზე კრებამ მოისმინა მარგანტრესტის მმართველის ლ. გოშხეთელიანის მოხსენება.

სიტყვებით გამოვიდნენ დიმიტროვის სახელობის მაღაროს დირექტორი ნ. ჩიქანელი, ლენინის სახელობის მაღაროს მთავარი ინჟინერი კ. მჭედლიშვილი, ახალი ითხვისის მაღაროს პარტბიუროს მდივანი ე. კაპანაძე, პრეკვისის მაღაროს მუშა გ. სამხარაძე, ტრესტ „საქმარგანეცის" ჭიათურის სამმართველოს უფროსი ო. ჩიჩუა, კალინინის სახელობის მაღაროს დირექტორი ს. კვარაცხელია, ტრესტ „მარგანეცის" მმართველი გ. შანიძე, საქართველოს ალკა ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. გურული, საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზ. პატარიძე.

გამოსულმა ამხანაგებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და იკისრეს ვალდებულება სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღონ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისთვის. აქტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო მიმართვა საქართველოს მრეწველობის ყველა მუშაკისადმი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ:

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის შავ მეტალურგიას, რომელიც წარმოადგენს მძიმე ინდუსტრიის, სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველს. შავი მეტალურგია და კერძოდ ხარისხოვანი ფოლადის წარმოება შეუძლებელია, თუ მაღალი ხარისხის მარგანეცი არ გვექნა.

ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა ვიკისრეთ ჯადამდე შეგეკერსრულებინა შვიდწლედის დავალებანი. სიამაყით ვაცხადებთ, რომ სიტყვა არ გაგვიტეხია. წარმოებაში ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვით, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ გაშლით მიმდინარე წლის 10 სექტემბრისათვის სამშობლოს ვუპატაკეთ სასაქონლო მარგანეცის შვიდწლედის დავალების შესრულება.

სასიხარულოა მოგახსენოთ, რომ სასაქონლო მარგანეცის დამზადების მიმდინარე წლის 9 თვის დავალება შესრულებულია 105,6 პროცენტით, აქედან მაღალხარისხოვანი მარგანეცის დამზადებისა — 103,8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდეთ 8,3 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 568.500 მანეთის მოგება.

შრომაში მიღწეული მაჩვენებლებისთვის მეორე კვარტალის მიხედვით მარგანეცის ტრესტმა მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენი შესაძლებლობები ამოწურულია. ჩვენი მიზანია ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და თაოსნობის ფართოდ გაშლით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვით, წარმოების კულტურის ამაღლებით კიდევ უფრო მაღალნაყოფიერი და რენტაბელური გავხადოთ ჭიათურის მარგანეცის წარმოება. ამის განხორციელების რეალურ შესაძლებლობას გვაძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილებანი მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სარეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების შესახებ.

მშობლიური პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული კანონი მრეწველობის მართვის სისტემის შეცვლისა და გაუმჯობესების შესახებ ჩვენ, მრეწველობის მუშაკებს, ფართო პერსპექტივებს გვიხსნის. ამით აღფრთოვანებულნი ვიწყებთ XXIII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის და ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. **შვიდწლედის სასაქონლო პროდუქციის გეგმის გადამეტებით 1965 წლის ბოლოამდე სამშობლოს მივცეთ 850 ათასი ტონა მარგანეცი. მაღალი ხარისხის მარგანეცის დამზადების გეგმას შეეასრულეთ 15 დეკემბრისათვის და გეგეის გადამეტებით გამოვუშვეთ 61.500 ტონას.**

2. **შრომის ნაყოფიერებას 1958 წელთან შედარებით გავზრდით 15,4 პროცენტით.**

3. **რაციონალიზაციითა და გამოგონებათა დანერგვით მივიღოთ 600 ათასს მანეთ ეკონომიას, ხოლო 1966 წლის პირველ კვარტალში — 150 ათას მანეთს.**

4. **მეოთხე კვარტალში ვაღაზე ადრე ავამუშავებთ ახალ სამრეწველო სიმძლავრეებს:**

მაღაროს მღვიმევი-ხრამის № 2 კარიერს (100 ათასი ტონის წარმადობისა) 1965 წლის 7 ნოემბრისათვის.

ლენინის სახელობის მაღაროს № 23 უბანს (100 ათასი ტონის წარმადობისა) 20 დეკემბრისათვის.

მერვეის მაღაროს (250 ათასი ტონის წარმადობა) — 25 დეკემბრისათვის.

5. **სკკპ XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის დავამთავრებთ და საექსპლოატაციოდ გადავცემთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, შემდეგ ობიექტებს: კულტურის სასახლეს, პიონერთა სასახლეს, 3 სახალხო საკაერო-საბადაბრო ბანაკს, უნივერსალურ და „ბავშვთა სამყაროს" მაღაზიებს, საზოგადოებრივი კვების ორ ობიექტს.**

6. **1966 წლის პირველი კვარტალის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას შეასრულეთ 27 მარტისათვის, მათ შორის მაღალი ხარისხის მარგანეცის გამოშვების გეგმას ყრილობის გახსნის დღისათვის — 29 მარტისათვის.**

7. **შრომის ნაყოფიერების 1966 წლის პირველი კვარტალის დასალეგას გეგმასთან შედარებით გავზრდით ერთი პროცენტით.**

8. **1966 წლის პირველი კვარტალის პროდუქციის თვითღირებულებას გეგმასთან შედარებით შევამცირებთ 0,2 პროცენტით.**

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, მოგიწოდებთ საქართველოს მრეწველობის ყველა მუშაკს გააჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება-აყვავებისათვის.

პარტიულ-სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრების დავალებით:

ზ. პატარიძე — საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. გოშხეთელიანი — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი, ბ. ბაბურლიძე — მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, ჯ. გურული—საქ. ალკა ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ბაძრაძე — ახალი ითხვისის მაღაროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დ. კილაძე — ლენინის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ნ. ბპპარაცხელია — კალინინის სახელობის მაღაროს დირექტორი, მ. დეკანოიძე — დიმიტროვის სახელობის მაღაროს ექსკავატორის მემანქანე, კომუნისტური შრომის დამკვრელი, რ. ხარშილაძე — ახალი ითხვისის მაღაროს მთავარი ინჟინერი, ლ. ბაფრინდაშვილი — ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მმწყობი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ლ. ჩხაიძე — ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორი.

მარნეულელ მევენახეთა გამარჯვება

გეგმის გადამეტებით იძენეგა 1 000 ტონა ყურძენი

შვიდწლედის დამამთავრებელ წელს მარნეულის რაიონის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით დამთავრონ სამეურნეო წელი, სხვა სსოფლო-სამეურნეო კულტურებთან ერთად ვაზს არ დააკლეს მზრუნველი ხელი. ჯერ ზვრებში ყურძნის მოსავლიანობა მიმდინარეობს და უკვე სახელო გამარჯვებას მიაღწიეს.

მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.783 ტონა ყურძენი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.558 ტონისა. საკარმიდამო ნაკვეთიდან სახელმწიფოს მიეყიდა 422 ტონა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ალგეთის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც სახელმწიფოს მიჰყიდა 1.428 ტონა ყურძენი ნაცვლად 1.303 ტონისა. ასევე ისახელეს თავი ყეღარის, ყაჩაღანის, მარნეულის, სადაბლოს საბჭოთა მეურნეობებმა, გიიურარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ და სხვ.

რთველი კვლავ გრძელდება, მარნეულის რაიონის მევენახეებმა იკისრეს სახელმწიფოს წლიური გეგმის ზევით მიჰყიდონ 1.000 ტონა ყურძენი.

შ. ნემსაძე.
საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი.

ტ. ყარაევი.
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მ. ულიევი.
სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

ვალდებულება განაღდებულია

სიღნაღელ და უვარელ მევენახეთა ახალი გამარჯვება

სიღნაღი. 20 ოქტომბერი. წელს სიღნაღელ მევენახეებს უნდა მოეკრიფათ 11.450 ტონა ყურძენი. ეს დავალება ვადაზე ადრე შეასრულეს. მიუხედავად ამ წარმატებისა, რაიონში მიღწეული როდი დასჯერდნენ. **მათ ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის ზევით მოეკრიფათ 1.500 ტონა ყურძენი. ბეჯითი შრომით აქაც თავი ისახელეს—გუშინდელი დღის ჩათვლით მოკრიფეს 1.550 ტონა ყურძენი, სულ მოკრეფილია 13 ათასი ტონა ყურძენი.**

რთველი კვლავ გრძელდება. სიღნაღელებმა იკისრეს **წლიური გეგმის ზევით კიდევ მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ ათასი ტონა ყურძენი.**

უვარელი. 20 ოქტომბერი. რაიონში წლიური გეგმით უნდა მოეკრიფათ 13.590 ტონა ყურძენი. ეს დავალება სასახელოდ გადაჭრეს. არც ამ მიღწეული დაკმაყოფილებულან. **უვარელელებმა იკისრეს წლიური გეგმის ზევით მოეკრიფათ ათასი ტონა, ყურძენი. პირობის გასანაღდებლად ბეჯითად იმუშავეს. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილია ათასი ტონა, სულ მოკრეფილი აქვთ 14.500 ტონა ყურძენი.**

უვარელელმა მევენახეებმა იკისრეს წლიური გეგმის ზევით კიდევ მოკრიფონ ათასი ტონა ყურძენი.

ქარხნის წარმატება

ბურჯაანი. სამტრესტის ველისციხის ღვინის ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა ყურძნის მიღებისა და გადამუშავებისა წლიური გეგმა. ნაცვლად 5.580 ტონისა გადამუშავებულია 5.680 ტონა. გეგმის გადამეტებით 3.000 ტონა ყურძენს გადავამუშავებთ.

ი. სიხარულიძე,
სამტრესტის ველისციხის ღვინის ქარხნის დირექტორი.

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-93"

1965 წლის 19 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-93"-ის გაშვება. თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაუვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 91,7 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 522 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 220 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე — 48 გრადუსი და 24 მინუტი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე: რადიოგადამცემი „მაიაკი", რომელიც მუშაობს 20,005; 30,0075 და 90,0225 მეგაჰერცი სიხშირით.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს.

ზრესპ „ჭიათურმარგანეცის" კალინინის სახელობის მაღაროში მოწინავეა № 4 საწარმოო უბანი, რომელსაც კომუნისტი ვლადიმერ ბოყოველი ხელმძღვანელობს. უბანი უკვე 1966 წლის ანგარიშში მუშაობს.

სურათზე: ვ. ბოყოველი (ცენტრში) ცვლაში გასვლის წინ მაღაროელებს დ. კოჩაძეს, ნ. მოდებაძეს, რ. ბარბაქაძესა და ბ. აბესაძეს აძლევს რჩევა-დარიგებას მადნის პირველადი გამდიდრების საკითხზე.

ფოტო ა. მაკავარიანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ მრეწველობის 1965 წლის ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც შვიდწლედის უკანასკნელი წლის წარმატებით დამთავრებისათვის იბრძვიან, გადაჭარბებით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა.

მთლიანად რესპუბლიკაში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 100,4 პროცენტით, მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ გეგმა შეასრულა 100,1 პროცენტით.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა ქალაქმა თბილისმა შეასრულა 102 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ — 97 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკამ — 101 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა — 105 პროცენტით.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობის ცალკეული დარგების წარმოების ზრდას ასასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1965 წლის 9 თვე პროცენტობით 1964 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
შავი მეტალურგია	105
ფერადი მეტალურგია	86
სათბობის მრეწველობა	100,4
აქედან ქვანახშირისა	98
ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	118
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	117
ქიმიური და რეზინ-აზბესტის მრეწველობა	130
ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდასამუშავებელი მრეწველობა	108
საშენ მასალათა მრეწველობა	109
აქედან ცემენტისა	107
მსუბუქი მრეწველობა	95
აქედან საფეიქრო	91
ტკბილის მრეწველობა	108
აქედან:	
ჩაის მრეწველობა	102
მეღვინეობა	112
საკონსერვო მრეწველობა	87
თამბაქოს მრეწველობა	145

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოში, მის დარგობრივ სამმართველოებსა და ტრესტებში შეადგინა:

	1965 წლის ცხრა თვის გეგმის შესრულების პროცენტი	1965 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1964 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
სახალხო მეურნეობის საბჭო	100,1	106
რესპუბლიკური ქარხანა	100,6	102
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	85	118
ქიმიური მრეწველობის სამმართველო	97	119
მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	101	121
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	100,8	116
საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	102	107
ხისდასამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	98	108
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	102	102
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	102	90
ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველო	106	120
საქართველოს მეორეული ნედლეულის სამმართველო	106	149
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	109	106
სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	105	105
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	100,7	103
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	103	92
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა-სამმართველო	100,0	99,7
საქართველოს ნავთობის ტრესტი	101	99
საქართველოს ჩაის ტრესტი	96	102
სამტრესტი	103	107
საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი	102	111
საქართველოს ცხიმეულეფრზეთის მრეწველობის ტრესტი	102	121
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	105	145
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	103	103
საქართველოს ტორფის მრეწველობის ტრესტი	103	109
მხატვრულ და საგალანტერიო ნაკეთობათა ტრესტი	99,8	104

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა საერთო პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა შემდეგნაირად შეასრულეს: მშენებლობის სამინისტრომ — 97 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ — 103 პროცენტით. კულტურის სამინისტრომ — 102 პროცენტით, განათლების სამინისტრომ — 71 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ — 117 პროცენტით სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ — 123 პროცენტით. კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ — 81 პროცენტით, ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარმა სამმართველომ — 96 პროცენტით, პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარმა სამმართველომ — 88 პროცენტით, სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარმა სამმართველომ — 113 პროცენტით. საქართველოს სიბობოსტენეულკოსერვის მთავარმა სამმართველომ — 112 პროცენტით, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ" — 112 პროცენტით.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოებას ცხრა თვეში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წარმოებულია 1965 წლის ცხრა თვეში	1965 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1964 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
თუჯი — ათასი ტონა	613	100,3
ფოლადი — ათასი ტონა	1 006	100,9
ნაგლინი — ათასი ტონა	749	99,6
ფოლადის მილები — ათასი ტონა	311	100,8
ქვანახშირი — ათასი ტონა	1956	99,4
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიონი კილოვატ-საათი	4405	115
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	3394	99,6
სატვირთო ავტომობილები — ცალი	7344	111
სამგზისტრალო ელმავლები — ცალი	139	106
ქაღალდი — ათასი ტონა	27	99,7
ცემენტი — ათასი ტონა	1004	105
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	40	90
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	466	107
ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	35	107
შალის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	3	85
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	15	87
წინდა — ათასი წყვილი	9208	107
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	13	114
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	3562	114
ტყავის ფეხსაცმელი — ათასი წყვილი	8117	101
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	48	127
ავეჯი — მილიონი მანეთისა	16	106
ხორცი* — ათასი ტონა	16	109
კარაქი* — ტონა	771	106
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	19	121
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	88	72
ჩაი: ნატურალური ხარისხოვანი დაფაყოფილი — ათასი ტონა	11	114
ყურძნის ღვინო* — ათასი დეკალიტრი	6286	89

ცხრა თვის გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია: თუჯი — 5 ათასი ტონა, ფოლადის მილები — 3 ათასი ტონა, კოქსი — 13 ათასი ტონა, მარგანეცის მადანი — 113 ათასი ტონა, ქვანახშირი — 47 ათასი ტონა, სატვირთო ავტომობილები — 44 ცალი, ცემენტი — 17 ათასი ტონა, ბამბის ქსოვილები— 59 ათასი კვადრატული მეტრი, შალის ქსოვილები — 45 ათასი კვადრატული მეტრი, ტრიკოტაჟის საცვლები — 585 ათასი ცალი, ხორცი — 1 ათასი ტონა და სხვა სახეობათა ნაწარმი.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი: თუჯი — 2 ათასი ტონა, ფოლადი — 9 ათასი ტონა, ფოლადის მილები— 3 ათასი ტონა, მარგანეცის მადანი — 47 ათასი ტონა, სატვირთო ავტომობილები— 712 ცალი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები — 1081 ათასი მანეთისა, ცემენტი — 46 ათასი ტონა, ბამბის ქსოვილები — 2 მილიონი კვადრატული მეტრი, წინდა —620 ათასი წყვილი, ტრიკოტაჟის საცვლები— 1635 ათასი ცალი, ზედა ტრიკოტაჟი — 448 ათასი ცალი, ხორცი — 1 ათასი ტონა, სარეცხი მანქანები — 10 ათასი ცალი.

თუმცა წარმოება იზრდებოდა, მაგრამ ვერ შესრულდა ფოლადის, კაპროლაქტამის, წინდის, ზედა ტრიკოტაჟის, სარეცხი მანქანებისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა.

შრომის ნაყოფიერების გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში 100,7 პროცენტით შესრულდა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდამ რესპუბლიკაში 3,8 პროცენტი შეადგინა.

სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოები განაგრძობდნენ მუშაობას მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის წარმოებაში დანერგვისათვის.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებში წამოყენებულია 12 ათასზე მეტი წინადადება წარმოების გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ.

მიმდინარე წლის 9 თვეში სახალხო მეურნეობაში დაინერგა შვიდი ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც იძლევა დაახლოებით ათ მილიონ მანეთ ეკონომიას ერთ წელიწადზე გაანგარიშებით.

* კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინაწარმოების ზრდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

კამათი მოხსენების გამო „მრეწველობის მართვის გაუმჯობესების შესახებ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ა. ი. მელაძის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილებები, ამბობს ორატორი, შემდგომი გაგრძელება და განვითარებაა იმ სრახლისა, რაც ჩვენს ცხოვრებას შემატეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრის და მარტის პლენუმებმა. მრეწველობის მართვის ორგანიზაციას სახალხო მეურნეობის საბჭოების საშუალებით, რომელიც 1957 წელს იყო შემოღებული, უდავოდ ჰქონდა ზოგიერთი დადებითი მხარე. მაგრამ ამასთან ერთად თავი იჩინა დიდმა ნაკლოვანებებმა — დაქვეითდა მრეწველობის ხელმძღვანელობის ღონე და დაორღვა ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა. ამას ცხადაყოფს თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საქმიანობის შედეგები, თბილისის მრეწველობის განვითარების ტემპი. მაგალითად, თუ 1951-1957 წლებში ძალიანი-პროდუქციის მატების საშალო წლიური ტემპი თბილისში 8 პროცენტი იყო, 1958-1964 წლებში კი იგი 7 პროცენტამდე შემცირდა.

ეკონომიური რაიონებში საწარმოო-ტექნიკური ხელმძღვანელობის დაქსაქსვამ და მრეწველობის მართვის დარგობრივი პრინციპის ლუკვიდაციამ უარყოფითი გავლენა მოახდინა პროდუქციის ასორტიმენტსა და ხარისხზე. მაგალითად, თბილისში შეწყდა ფართო მოხმარების მთელი რიგი საქონლის წარმოება, რომლებზედაც მოთხოვნილება იყო. ამავე დროს სამრეწველო საწარმოები კვლავ უშვებენ ისეთი სახეობის საქონელს, რომელზედაც არ არის მოთხოვნილება და ჩაწოლილია მაღაზიებსა და სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებში.

ყოველივე ამის შედეგად სავაჭრო ქსელში წარმოშვა საქონლის ზენორმატიული ნაშთები, საკმარისია აღინიშნოს, რომ, თუ 1958 წლის 1 იანვრისათვის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო ქსელში საქონლის ნაშთი ნორმატივზე 5.364 ათასი მანეთით ნაკლები იყო, 1965 წლის 1 იანვრისათვის კი სავაჭრო ქსელში დაგროვდა ზენორმატიული საქონელი, რომლის ღირებულება 10.778 ათასი მანეთით აღემატებოდა დაწესებულ ნორმატივებს. გარდა ამისა, რომ საქონლის ასეთი ჩაწოლა დიდ ფინანსურ სიძნელეებს უქმნის საქალაქო ორგანიზაციებს, იგი აგრეთვე დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს.

მრეწველობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა არსი ის არის, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოების საშუალებით მრეწველობის მართვის ტერიტორიული პრინციპებიდან გადაეცეთ დარგობრივ პრინციპზე, რაც შეესაბამება ჩვენი წარმოების განვითარების ობიექტურ ტენდენციას.

მრეწველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელი ორგანოები მომავალში საწარმოო სამინისტროები იქნებიან, რომლებსაც ეკისრებათ ხელმძღვანელობის შეერთებული ფუნქციები და სავსებით პასუხს აგებენ ამ დარგების განვითარებისათვის. ეს, უდავოდ, მნიშვნელოვნად გააადვილებს საწარმოთა მუშაობას. რადგან მათი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი გადაიჭრება ერთ ორგანოში — სამინისტროში.

დეპუტატ რ. მ. კომახიძის სიტყვა

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ამბობს დეპუტატი, აჭარის მშრომელებსაც ღრმად აქვთ შეგნებული მრეწველობის მართვის ახალი ფორმების შემუშავებისა და განხორციელების დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა, მხურვალედ იწონებენ დასახულ ღონისძიებებს, მზად არიან თავიანთი წელი შეტანონ ამ ღონისძიებათა რაც შეიძლება სწრაფი და ეფექტიანი შესრულების საქმეში.

აჭარის მრეწველობამ თითქმის სამი თვით ადრე შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების შედწლიანი გეგმა. პროდუქციის გამოშვება 25 პროცენტით გაიზარდა. შეიქმნა სამრეწველო წარმოების მრავალი ახალი დარგი.

მიღწეული ღირდა, მაგრამ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მთელ დარგებში მაინც გაგვიჩნია სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი. მთლიანად როდა გამოყენებული მდიდარი შესაძლებლობანი და რეზერვები.

მართვის ახალი სისტემა გადიდებულ ამოცანებს უსახავს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამეცნიერო საბჭოთა მოავლინა მეცნიერ შემოქმედები, რომლებსაც ეკისრებათ ეფექტიანი ხელმძღვანელობა ორგანოებში მომავალში სამრეწველო სამინისტროები იქნებიან, რომლებსაც ეკისრებათ ეფექტიანი ხელმძღვანელობა ამ დარგების განვითარებისათვის. ეს, უდავოდ, მნიშვნელოვნად გააადვილებს საწარმოთა მუშაობას. რადგან მათი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი გადაიჭრება ერთ ორგანოში — სამინისტროში.

დეპუტატ ს. ა. შარაძენიძის სიტყვა

დეპუტატი ლაპარაკობს რესპუბლიკის მრეწველობის მიერ მოპოვებულ წარმატებებზე და აღნიშნავს: მიღწეული უფრო მეტი იქნებოდა, მრეწველობის მართვის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების მეთოდები რომ შეეესაბამებოდეს საწარმოო ძალთა განვითარების თანამედროვე დონეს. მრეწველობის ხელმძღვანელობის სეფიროსული ნაკლი ის იყო, რომ სჭარბობდა ადმინისტრირების მეთოდები ეკონომიური მეთოდების საზიანოდ, შეხლოებელი იყო საწარმოების უფლებები სამეურნეო საქმიანობაში.

ტერიტორიული პრინციპით მრეწველობის მართვამ რამდენადმე კეთილგაფართოვა დარგთაშორისი სპეციალიზაციის და ადგილმდებარეობის ეკონომიური ეფექტიანობა. მაგალითად, 1962 წელს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს 20 მილიონი ცალი აგური, 1964 წლისათვის აგურის წარმოება შემცირდა 13 მილიონ ცალამდე. მაშინ როცა სამენი მასალების უქონლობის გამო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა შეჩერებულია.

საკვირველი ბიგვანია აფხაზეთში შეიქმნას ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, რომლის გამგებლობაში გადაეცეოდოთ ამჟამად სახალხო მეურნეობის საბჭოს და რიგ სხვა უწყებებს დაქვემდებარებული საწარმოები.

დეპუტატ ს. ა. შარაძენიძის სიტყვა

დასასრულ ა. ს. მიქელაძემ გამოთქვა რწმენა, რომ იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომელიც დასახა სექტემბრის პლენუმმა მრეწველობის ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის, წინ წაწევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, რაც დიდ და გადამწყვეტ როლს შეასრულებს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის კეთილდღეობის კეთილდღეობის ამაღლებისა.

დეპუტატ გ. ვ. ციციშვილის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა განხორციელება, აღნიშნავს დეპუტატი, შეუძლებელია ისე, რომ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა არ მიიღოს მეცნიერებამ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი მზრუნველობის წყალობით საბჭოთა მეცნიერებამ მსოფლიოში მოწინავე ადგილი დაიკავა. საბჭოთა მეცნიერების მიღწევებში ღირსეული წილადი შეაქვთ ქართველ მეცნიერებსაც. ისინი წარმატებით მუშაობენ თანამედროვე მათემატიკის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, კიბერნეტიკის და ელექტრონიკის, „გამოყენებითი მექანიკის, ხელსაწყოთმშენებლობის და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტუალურ პრობლემებზე.

ახლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადწყვეტილებებთან დაკავშირებულ ამოცანებზე ინტერესი მკვეთრად გაზრდილა საკითხი საქართველო სამეურნეო-ეკონომიურ ინფორმაციული ეკონომისტებისა გამოშვება, გაუმჯობესდეს მათი მოამზადება, რაც მეტად საჭიროა დღეს ჩვენი სამრეწველო საწარმოებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისათვის მრეწველობის მართვის ახალი სისტემის განხორციელებასთან დაკავშირებით.

დეპუტატ უ. ფ. ცქვიტინიძის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადწყვეტილებებმა დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ქალაქ ქუთაისის მშრომელებში. ისინი ფართოდ განიხილავენ პლენუმის მასალებს და კისრულობენ გადიდებულ კავლდებულებებს შეიდწლედის დამამთავრებელი წლის დაკალებთა ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

მაგრამ შეიდწლედის განმავლობაში ქალაქის საწარმოთა მუშაობის ანალიზმა ცხადყო მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რაც ძირითადად მრეწველობის მართვის ძველი სისტემის შედეგი იყო. ეს ზოგიერთი მაგალითი:

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ახალი ტიპის ავტომობილის „კაზ-608“ გაშვების სამუშაოების ნაწილი „პრიმიტიული წესით სრულდება. ავტინის ცალკეული ელემენტები მზადდება ხის და ზოგ შემთხვევაში ბეტონის ყალიბებით. ცხადია, ასეთი პროდუქცია არ იქნება საამედო. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ წლების მანძილზე ვერ მოგვარდა საწნეხე მოწყობილობისა და სპეციალური ტეფრების მიღება. ამის პირდაპირი შედეგია ის, რომ „კაზ-608“ მარკის ავტომობილი ჩამოვა კონვეიერიდან ზუსტად ერთი წლის დაგვიანებით.

უარეს მდგომარეობაა საწნეხე საამქროში. ახალი მანქანის კაბინები მზადდება. აქ წაამქროს მენობა დაფიქსირებულია, სამუშაოების დიდი ნაწილი შიმდინარეობს ღია ცის ქვეშ. ცუდადაა დაყენებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეც. გაიხელებული იყო ფონდირებული მასალების მიღება სხვა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებიდან, თუმცა მასალები გამოყოფილი იყო სათანადო ორგანოების განკარგულებით.

ქუთაისს სატრაქტორო ქარხანას დღემდე არა აქვს დადგენილი მყარი საწარმოო გეგმა და ზოგიერთი სახის პროდუქციას უშვებს იმიზე მეტს, ვიდრე მოთხოვნილებაა. მრეწველობის მართვის ახალი სისტემა უდავოდ ხელს შეუწყობს ამ ნაკლოვანებათა მთლიანად აღმოფხვრას.

როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. ი. ჩოგოვაძის მოხსენებიდან ჩანს, დღევანდელ სესიაზე შემოტანილია პროექტი ჩვენს რესპუბლიკაში აგდილობრივი მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ. ჩვენ მიგესალმებით ამ წინადადებას, რადგან ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენლობაში შეაყვანამ ერთგვარი ზიანი მიაყენა ადგილობრივი ბიჯეტის შესრულების საქმეს.

ეკონომიური ინფორმაციის სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

პლენუმის გადაწყვეტილებების შედეგად ფართოვდება საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა და ინიციატივა, იზრდება მათი უფლებები. დაგეგმვის ძველი სისტემა, როდესაც საწარმოებს ზევიდან უკარნახებდნენ საპრეწველო-ფინანსური გეგმის მრავალ მაჩვენებელს, ხელფეს უკრავდა საწარმოების კოლექტივებსა და მათს ხელმძღვანელებს.

ახალი სისტემით მატერიალური წახალისების ძირითადი წყარო იქნება საწარმოს მოგება, რომელიც საპრეწველო ორგანოს მთელი საქმიანობის კომპლექსური მაჩვენებელია. ჭის შექმნაში მოთავწილეობს ყველა საამქრო, როგორ და განყოფილება. იქმნება ისეთი პირობები, როცა შეუძლებელია გულგრილად ატარო გვერდი უყურადღებოს ფაქტებს, წუნისა და არაშეწარმოებლური ხარჯები შემთხვევებს, რამდენადაც ყოველივე, ეს ზიანს აყენებს არა მარტო საწარმოოს მთლიანად, არამედ თითოეულ მუშასაც.

დეპუტატი სესიის წინაშე აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა გაიხარდოს კვალიფიციური ეკონომისტებიც გამოშვება, გაუმჯობესდეს მათი მოამზადება, რაც მეტად საჭიროა დღეს ჩვენი სამრეწველო საწარმოებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისათვის მრეწველობის მართვის ახალი სისტემის განხორციელებასთან დაკავშირებით.

დეპუტატ უ. ფ. ცქვიტინიძის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებმა დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ქალაქ ქუთაისის მშრომელებში. ისინი ფართოდ განიხილავენ პლენუმის მასალებს და კისრულობენ გადიდებულ კავლდებულებებს შეიდწლედის დამამთავრებელი წლის დაკალებთა ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

მაგრამ შეიდწლედის განმავლობაში ქალაქის საწარმოთა მუშაობის ანალიზმა ცხადყო მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რაც ძირითადად მრეწველობის მართვის ძველი სისტემის შედეგი იყო. ეს ზოგიერთი მაგალითი:

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ახალი ტიპის ავტომობილის „კაზ-608“ გაშვების სამუშაოების ნაწილი „პრიმიტიული წესით სრულდება. ავტინის ცალკეული ელემენტები მზადდება ხის და ზოგ შემთხვევაში ბეტონის ყალიბებით. ცხადია, ასეთი პროდუქცია არ იქნება საამედო. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ წლების მანძილზე ვერ მოგვარდა საწნეხე მოწყობილობისა და სპეციალური ტეფრების მიღება. ამის პირდაპირი შედეგია ის, რომ „კაზ-608“ მარკის ავტომობილი ჩამოვა კონვეიერიდან ზუსტად ერთი წლის დაგვიანებით.

უარეს მდგომარეობაა საწნეხე საამქროში. ახალი მანქანის კაბინები მზადდება. აქ წაამქროს მენობა დაფიქსირებულია, სამუშაოების დიდი ნაწილი შიმდინარეობს ღია ცის ქვეშ. ცუდადაა დაყენებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეც. გაიხელებული იყო ფონდირებული მასალების მიღება სხვა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებიდან, თუმცა მასალები გამოყოფილი იყო სათანადო ორგანოების განკარგულებით.

ქუთაისს სატრაქტორო ქარხანას დღემდე არა აქვს დადგენილი მყარი საწარმოო გეგმა და ზოგიერთი სახის პროდუქციას უშვებს იმაზე მეტს, ვიდრე მოთხოვნილებაა. მრეწველობის მართვის ახალი სისტემა უდავოდ ხელს შეუწყობს ამ ნაკლოვანებათა მთლიანად აღმოფხვრას.

როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. ი. ჩოგოვაძის მოხსენებიდან ჩანს, დღევანდელ სესიაზე შემოტანილია პროექტი ჩვენს რესპუბლიკაში აგდილობრივი მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ. ჩვენ მიგესალმებით ამ წინადადებას, რადგან ქუთაისის აგდილობრივი მრეწველობის საწარმოებს სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენლობაში შეაყვანამ ერთგვარი ზიანი მიაყენა ადგილობრივი ბიჯეტის შესრულების საქმეს.

დეპუტატ ვ. ს. ებრალიძის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახული ღონისძიებანი, აღნიშნავს ორატორი, დიდად შეუწყობს ხელს სამრეწველო საწარმოთა და მათ შორის ჩვენი საწარმოს — თბილისის საკომდატორო კომბინატის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. დაგეგმვის ახალ წესზე გადასვლა ბოლოს მოუღებს ამჟამად არსებული სამეურნეო საქმიანობის ზედმეტ რეგლამენტაციას.

საკომდატორო კომბინატ ახალგაზრდა საწარმოა. მას აქვს ტექნიკურად სრულყოფილი მანქანა-დანადგარები. მაგრამ ამასთან ერთად არის მორალურად მძიმეებული მანქანებიც, რომლებიც ძველად არსებული ფაბრიკებიდან გადმოტანეს. უსახსრობის გამო დღემდე ვერ ძოხერხდა მათი შეცვლა. ახლა ჩვენ შეედგენით მორალურად მოძველებული მანქანა-დანადგარების პორიცხვასა და დაზუსტებას, ნელთა ნაცვლად უნდა შევიძინოთ ახალი. ტექნიკურად უფრო სრულყოფილი მანქანები, რაც საგრძნობლად გაუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ საკომდატორო კომბინატს კარგი მაჩვენებლები აქვს, ამბობს დასასრულ დეპუტატი, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესება საკმარისი არ არის. მართალია ჩვენ ყოველწლიურად გვაძლევენ საწარმოო ფონდი, რომელიც მოგების ანარიცხიდან იქმნება, მაგრამ იგი ძალიან მცირეა. მომავალში კი მატერიალური წახალისების ფონდის გარდა საწარმოში შეიქმნება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და სანიმუშო მშენებლობის ფონდი, რითაც შესაძლებლობა მოგვეცემა გავუმჯობესოთ მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები.

დეპუტატ დ. ზ. რომელაშვილის სიტყვა

სახალხო მეურნეობის საბჭოებმა გარკვეული დადებითი როლი შეასრულეს. მაგრამ მათი არსებობის პირველ წელშივე თავი იჩინა არსებითმა ხაკლოვანებებმა მრეწველობის ხელმძღვანელობაში საერთოდ, და უწესრიგო ყოფნისა, ეგრეთ წოდებულ „ბ“ ჯგუფის დარგებში, რომელსაც მიეკუთვნება კვების მრეწველობაც. ამიტომ სრულიად დროული და სწორია ეს ღონისძიებები, რომლებიც ახლა ძველად არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის ხორციელდება.

მეფიცნეობის მრეწველობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია და მის განვითარებას ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობა. მაგრამ მეფიცნეობის მრეწველობაში ჯერ კიდევ არის სეროიზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, თითქმის წლების განმავლობაში ჩვენ ბეღლეთ მეფიცნეობის ქარხნები მუშაობენ წყვეტილად. არაფორმალურად მომტანარეობს ბოთლის, საცობის და სხვა დამხმარე მასალების მომარაგება.

ჩვენ მიერ გამოშვებული პროდუქცია ყოველთვის ოდენ ეპასუხებს თანამედროვე პირობებს. განსაკუთრებით გაფორმების მხრივ. სათანადო რაოდენობით არა გვაქვს ლამაზი შეფის ტანი, რომელიც უნდა ჩაიხსას სუფეკთესო ქართული ღვინოები და კონიაკი. არა გვაქვს სათანადო ქაღალდი გაფორმებისათვის და სხვა.

მეტად გაჭიანურდა სურამის შუშის ქარხნის მშენებლობა, ორმელსაც დიდი იმედით შეეყურებენ კვების მრეწველობის მუშაკები.

დასასრულ მინდა ადვნიშნო, რომ სახელმწიფოსათვის ყურადღის მიყოდვის ნაგვა წარმატებით შესრულდება. ამას კი ის შედეგი მოჰყვება, რომ მეღვინეობის მრეწველობა გამოიმუშავებს 16 მილიონ დეკალიტრზე მეტ ღვინომასალას, რომელიც არა მარტო ჯარიმად დაკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას ქართულ ღვინოებზე, არამედ დიდი მარაგი შეიქმნება სამარკო ღვინოებისათვის.

დეპუტატ მ. ს. აკოფოვის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა ამოცანა გამოეცხადოთ გადამწყვეტი ბრძოლა ეკონომიური დანაკარგებს, გიბრძოლოთ ფულადი სახსრების ძომეკონომიობით ხარჯვისათვის, მატერიალური და შრომითი რესურსების უკეთესად გამოყენებისათვის, ამბობს დეპუტატი.

ცნობილია, რომ წარმოების განვითარების დღევანდელ პეროიდში ნედლეულისა და მასალების უმნიშვნელო დანაკარგებიც კი გამოიხატება დიდ ეიფრებში. პლენუმის გადაწყვეტილებანი საშუალებას აძლევს წარმოების ყველა მუშაკს გახდეს ნაკლოვანებათა გადალახვისთვის აქტიური მებრძოლი.

ორატორი შემდეგ აღნიშნავს, რომ მართვის მრავალსაფეხურიანობა, ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის უქონლობა დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა ტექნიკურ პროგრესს. მაგალითად, თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ბევრი სიძნელე წარმოიშვა სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნის შემდეგ. მაშინ, როდესაც ქარხანა ექვემდებარებოდა სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, საწარმოს ოლოკლეტივი კარგად ხედავდა, თუ რას წინაშეა დარგობრივი ხელმძღვანელობა. საწარმოში რეგულარულად მოდიოდა კომპეტენტური კომისია, რომელიც სწავლობდა სხვადასხვა სახეობის პროდუქციის გამოშვების კონკურტულ საკითხებს, ხელს უწყობდა მისი ტექნიკური ოლტურალობის გაუმჯობესებას, ეხმარებოდა სხვადასხვა ტექნოლოგიური დოკუმენტაციის შედგენაში, საწარმოს რეკონსტრუქციის ეხსნოდა ალგილი.

ბაკინის ქალაქის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში ვადასვლის შემდეგ ეცანა ბლაზეზე ერა გადაწეული რეკონსტრუქციის საკითხი. მარტო შარშან საწარმომ საპროექტო სამუშაოებში გადახიდა 43 ათასამდე მანეთი, თუმცა არაერთარი რეკონსტრუქციი ან გაფართოების სამუშაოები არ განხორციელებულა.

დეპუტატ ვ. ვ. ჰავჰანიძის სიტყვა

იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებაში, ოიმდენაც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს სახალხო მეურნეობას, ამბობს დეპუტატი, დიდი როლი ეკუთვნის მეცნიერებას, რომელიც სულ უფრო მტკიცდ ხდება უშუალო მწარმოებელი ძალა. მეცნიერების ამოცანაა უფრო ფართოდ აწარმოოს სამეცნიერო ძიებანი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების პრინციპულად ახალ გადაწყვეტათა მისაღებად. ბუნებისმეტყველება და ტექნიკური მეცნიერებანი არსებითად დიდმნიშვნელოვან კვლევითს ფუნქციას ასრულებენ. ჩვენი მეცნიერები გაბედულად ეკიდებიან ბუნების საიდუმლოებებს, სახალხო მეურნეობის, მთელი ხალხის, სამსახურში აყენებენ მის სიმდიდრეებს. საქმე ის არის, რომ მეცნიერების მიღწევანი გაბედულად ინერგებოდეს წარმოებაში.

ახალი დიდი შესაძლებლობანი ისახება ისეთი მეცნიერული დისციპლინების წინაშე, როგორიც არის მათემატიკა, ფიზიკა, კიბერნეტიკა, ქიმია, ბიოლოგია და სხვ. მათ მიეწევებენ ყველაზეს დაგეგმვის, დაპროგნოზირების, წარმოების მართვის, სამეურნეო საქმიანობის საკითხების გადაჭრის დროს.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები სულ უფრო ფართო მოცულობის სამუშაოებს ასრულებენ, ისინ ბევრ საკითხ ხდება შეიქმნას ძლევადი ექსპერიმენტული ბაზები. ასეთი ბაზა ძალიან ესაჭიროებთ კიბერნეტიკის ინსტიტუტს, ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტს. ამჟამად კიბერნეტიკის ინსტიტუტმა დაამთავრა სპეციალიზებული ექსპერიმენტული ბაზის მშენებლობა. მაგრამ სამუტატ განიიგის გამო შექმნილ სიძნელეებთან დაკავშირებით, ამ ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა 1966 წელს გაჭიანდება. მეცნიერების მატერიალური ბაზის განმტკიცება გაადიდებს სამეცნიერო ცვლილის ეფექტიანობას, დაარჩარებს მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების გადაჭრას.

როგორც, მრეწველობაში, ისე მეცნიერებაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიური სტიმულირების ფაქტორები. ისინი უეჭველია დადებითს გავლენას მოახდენენ ცოდნის ახალი დარგების განვითარებაზე მეცნიერების მიღწევათა დანერგვაზე სახალხო მეურნეობაში, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებაზე.

დეპუტატ ნ. პ. ებრალიძის სიტყვა

ინდუსტრიული რუსთავის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი „ამაყოფილებთ შეხვედნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ესსიის გადაწყვეტილებებს. ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში ისინი ნათლად ხედავენ პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, თითოეული ძმრომელის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

უახლოესი წლების პერსპექტივა თვალსაწიერებს რუსთავის მრეწველობის მნიშვნელოვან განვითარებას, როგორც არსებული ქარხნების გაფართოება რეკონსტრუქციის, ისე ახალ სიმძლავრეთა ამუშავების გზით. აქედან გამომდინარე, სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს რუსთავის მრეწველობის უფრო სწრაფი ტემპით განვითარებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი ქალაქის მრეწველობის ზრდის ტემპები, ამბობს ორატორი, მოითხოვს მაღალკვალიფიციური მუშების სათანადო რაოდენობით მომზადებას. ეს საკითხი ჯერ არ არის ზუსტად შესწავლილი და დასაბუთებული. ადგილი აქვს მთელ რიგ შეუსაბამობას ადრრების მომზადებასა და ფაქტიურ მოთხოვნილებას შორის. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსამზადებლად გათვალისწინებული ადრების კონტინგენტი სრულიად არ ეძლება საქმიანი საწარმოების მთლიანად დაკომპლექტებისათვის, რაც გამოიწვევს სიმძლავრეების ათვისების შეფერხებას.

დეპუტატი ეხება წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას და აღნიშნავს, რომ მომდინარე წელს შახტმი დაინერგა 30 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომია ათეულ ათას მანეთს შეადგენს. მაგრამ შახტის მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ნაკლოვანებებს. ადრეულ სრულად არ არის გამოყენებული ქვანახშირის ამოღების გადიდების არსებული რეზერვები. ეგვი არ არის, რომ მრეწველობის მართვისა და დაგეგმვის ახალი სისტემა საშუალებას მოგვცემს ავამოქმედოთ ეს რეზერვებიც.

შახტში ჯერ კიდევ დიდია ადრების დანაკარგი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახული ღონისძიების განხორციელება შრომის მატერიალური სტიმულირების შესახებ საშუალებას მოგვცემს აღმოვფხვრათ ადრების დანაკარგი, ავამაღლოთ მუშათა კვალიფიკაცია. გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. (საქდესი).

იხილეთ შემოკლებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. ი. ჩოგოვაძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მუშაობის შედეგებმა დაგვანახა, რომ ქართველი ხალხი, იგი, როგორც საბჭოთა კავშირის მთელი პრავალეროვანი ხალხი, ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სექტემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და საწარმოებისა. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ ინფორმაციულ ეკონომისტებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავს, ასევე, ეკონომიური სტიმულირების ფაქტორებთან ერთად, ეს ნიშნავ

საკლესიო განცხადება

ამ გზელ დღეებში უცხოეთის პრესა ხელმძღვან ცნობებს საბჭოთა კავშირში ვიზიტის თაობაზე კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურის პრინც სიანუკის მიერ გამოთქმული აზრების შესახებ. ამასთან პრესის ზოგიერთი ორგანო, რომელთა მიზანია, როგორც ჩანს, ჩირქი მოსცხონ საბჭოთა კავშირისა და კამბოჯის სახელმწიფოს მეგობრულ ურთიერთობას, ცდილობს დეზინფორმაციის სინამდვილე.

ამასთან დაკავშირებით საკლესიო დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

კამბოჯის სახელმწიფოს მეთაური პრინცი სიანუკი ოფიციალური ვიზიტით არის მოწვეული საბჭოთა კავშირში. სსრ კავშირში მზად არიან საპატიო სტუმარი მიიღონ სათანადო დონეზე და სათანადო უურადღებით. გათვალისწინებული იყო, რომ ეს ვიზიტი მოხდებოდა მიმდინარე მეკავიოს ეს ურთიერთობა.

ა. გრომიკოს განცხადება

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი. (საკლესი). საბჭოთა დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო დღეს ნიუ-იორკიდან გაემგზავრა. აეროპორტში მან შემდეგი განცხადება გააკეთა:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალგზელმა XX საიუბილეო სესიამ ახლახან დაამთავრა მუშაობის პირველი ეტაპი. დამთავრდა საერთო პოლიტიკური დისკუსია, რომელმაც ცხადყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეტი წილი წევრი სახელმწიფოების მზარდი მისწრაფება უზრუნველყონ მშვიდობა ჩვენს პლანეტაზე. მიიღწიონ შეთანხმებულ, იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. დისკუსიამ გვიჩვენა, რომ ხალხებს არ სურთ შეურიგდნენ აგრესიის პოლიტიკას და მათ სანინაო საქმეებში უხეშ ჩარევას, ილაშქრებენ კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ. გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ.

საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა წინადადებანი იმის შესახებ, რომ მიიღონ დეკლარაცია სახელმწიფოთა სანინაო საქმიებში ჩარევის, შეუწყნარებლობის მათი დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ და დაიდოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ამ ჩვენს წინადადებებს დადებითად გამოეხმაურა ბევრი დელეგაცია. მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი წამოაყენა ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ.

გენერალური ასამბლეის სესიის მონაწილეებმა კიდევ უნდა განიხილონ ბევრი პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და იურიდიული პრობლემა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა მოვალეობაა იბრძოლონ ურთიერთმისადგი გადაწყვეტილებებისა და საგრძნობი შედეგებისათვის მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში.

ყოველ შემთხვევაში არის იმის წინამძღვარი, რომ ეს ფართო საერთაშორისო ფორუმი თავისი გადაწყვეტილებებით ხელს უწყობდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთნდობის გაღრმავებას.

ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ ამერიკელ ხალხს, ქალაქ ნიუ-იორკის მოქალაქეებს.

ა. ა. გრომიკო კუბაში ჩავიდა

ჰავანა, 20 ოქტომბერი. (საკდესი). კუბის რევოლუციური მთავრობის მოწვეცვით აქ ნიუ-იორკიდან ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. იმავე თვითმფრინავით ნიუ-იორკიდან სამშობლოში დაბრუნდა კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა.

ხოსე მარტის სახელობის აეროპორტში სსრ კავშირისა და კუბის საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდნენ კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო და კუბის სხვა ხელმძღვანელები, ჰავანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, სსრ კავშირის ელჩი კუბაში ა. ი. ალექსეევი, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

კომუნიკე მარშალ ამერის საფრანგეთში ყოფნის შესახებ

პარიზი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ხელი მოაწერეს საფრანგეთ-ეგვიპტის კომუნიკეს. ამით დამთავრდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის მარშალ ჰაკიმ ამერის ხუთი დღის ოფიციალური ვიზიტი საფრანგეთში.

ორივე მხარეს მიაჩნია, ხაზგასმით აღნიშნულია კომუნიკეში, რომ „საერთაშორისო ურთიერთობას საფუძველად უნდა დაედოს ჩაურევლობის და ხალხთა იმ უფლების პრინციპები, რომ თვითონვე განაგონ თავიანთი ბედი. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ მოვსპობთ დაძაბულობის კერებს და შეივნარჩუნებთ სახელმწიფოთა მოლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.

„ამ ვიზიტით დაიწყო საფრანგეთისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარების ახალი და დიდმნიშვნელოვანი ეტაპი“.

ავღანეთი. ქაბულის ცენტრში. ფოტო ვ. სობოლევისა (საკდესის ფოტოკრონიკა).

ეუ ტანის მოხსენება

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც აჯამებს ინფორმაციას, თუ როგორ სრულდებოდა ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება 7-დან 10 ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში. გენერალური მდივანი აღნიშნავს: 7 ოქტომბრის უკანასკნელ მოხსენებაში ვთქვი, რომ ბრის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების გაუმჯობესების საერთო ტენდენცია. „მას შემდეგ განვლილ პერიოდში,— ნათქვამია ახალ მოხსენებაში, — ვითარება არ გაუმჯობესებულა, არამედ, შეიძლება, კიდევაც გაუარესდა. იყო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის ბევრი დადასტურებული სხვადასხვა ხასიათის შემთხვევა. თითოეულმა მხარემ წარმოადგინა მრავალი საჩივარი. რომლებიც ამტკიცებენ, რომ მეორე მხარემ დაარღვია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მიღებული ცნობების თანახმად, მეტ წილ სექტორებში კვლავ დიდი დაძაბულობაა. მაშასადამე, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულება ჯერ კიდევ სრულებითაც არ შეფასებულა იმას, რაც ჩვენ გვაფურს. თუმცა დიდი სამხედრო შეტაკებები ძნიშვნელოვნად შემცირდა, ცეცხლის შეწყვეტის ახლანდელი მდგომარეობა მაინც არ შეიძლება სრულიად ჩაითვალოს“.

„თითოეული მხარე, — ნათქვამია შემდეგ გენერალური მდივნის მოხსენებაში,—ამტკიცებდა, რომ მეორე მხარემ ახალი პოზიციები დაიკავა ეცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, და ადგილობრივი სარდლობა იმუქრება, რომ ძალით დაიპრუნებს ამ პოზიციებს. ამ შეხვედრამოხლის მიზეზი შეიძლება სავსებით აღმოიფხვრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე დათანხმდება უკან დასწიოს თავისი სამხედრო პერსონალი, როგორც ეს მოითხოვა უშიშროების საბჭომ, იმ პოზიციებზე, რომლებიც ამ პერსონალს ეკავა 1965 წლის 5 აგვისტამდე“ ამრიგად, თუმცა ცეცხლის შეწყვეტა აუცილებელი პირველი ნაბიჯია, იმისათვის, რომ იგი ეფექტიანი იყოს, საჭიროა განხორციელდეს ჯარების შემდგომი უკან დახევა, აღნიშნულია მოხსენებაში. ამ მიმართულებით წარმოებს მეცადინეობა.

ნატოს ახალი პოლიტიკა

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ი. პიცეი და ს. ლოხეი იუწყებიან:

ნაშუადღევს გენერალური ასამბლეის პირველ (პოლიტიკურ) კომიტეტში გრძელდებოდა ატომური იარაღის გაუვრცელებლობია საკითხის განხილვა, რომელიც წინა დღით დაიწყო.

დისკუსია კომიტეტში, როგორც ყველაფერიდან ჩანს, იწურმოებს უმთავრესად ორი წინადადების გარშემო: ჯერ ერთი, საბჭოთა ხელშეკრულების პროექტისა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, რომელიც შედგენილია ისე, რომ პრაქტიკულად ალიკვეთოს ასეთი იარაღის არაატომურ სახელმწიფოთა არსენალში მოხვედრის ან ამ სახელმწიფოების ხელში ატომური იარაღის ჩაგდების ყველა შესაძლო საშუალებანი; მეორე, ამერიკის პროექტისა, რომელიც ნაკარნახევია არა იმდენად მისწრაფებით, რომ გადადგან ნაბიჯი სახელმწიფოთა ეროვნულობის სტრეფლის დასაკმაყოფილებლად, რამდენადაც უნდათ რადაც ეხდა დაკლეს განახორციელონ ნატოს ფარგლებში მრავალმხრივი ატომური ძალების ან ატლანტიკის ატომური ძალების შექმნის გეგმების ლეგალიზაცია. ეს უკანასკნელი ბონელ რევანშისტებს ხელში ჩაუგდებდა ატომურ იარაღს.

ამ პროექტის დასაცავად გუშინ გამოვიდა კანადის წარმომადგენელი გეოგალი ბერნსი. იგი ქებას ასხამდა ნატოს ახლანდელ პოლიტიკას და მრავალმხრივი ატომური ფლოტის შექმნის გეგმებს, რასაც ამ აგრესიული სამხედრო ბლოკის ფარგლებში ადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, ამასთან ბერნსი არწმუნებდა დამსწრეთ, რომ ამას არ მოპყვება ატომური იარაღის გავრცელება. ხელშეკრულებამ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, კანადის დელეგატის სიტყვით, „არ უნდა შეუშალოს ხელი თავისუფალ პოლიტიკურ ეფოლუციას ევროპაში და ყველა ქვეყანას უნდა შეუნარჩუნოს უფლება დადონ იაფი პოლიტიკური შეთანხმებანი რომლებიც სასურველად მიანიათ, კერძოდ შეთანხმებანი კოლექტიური თავდაცვა“ შესახებ“. ამ უკანასკნელთა სახით აშკარად ნაგულისხმევია მრავალმხრივი ატომური ძალების გეგმები, რომელთა განხორციელებას ასე ეს ნიგერიის წარმომადგენელმა მბაჰმა ილაპარაკა „ატომური იარაღის გავრცელების საშიშროებაზე და აღნიშნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეწყდეს ეს პროცესი. რამდენადაც შემდეგში ეს ამოცანა სულ უფრო გაძნელდება.

შეთანხმებას ატომური იარაღის გაუვრცელებლობა შესახებ, ნიგერიის წარმომადგენლის აზრით, უნდა თან ახლდეს ატომურ სახელმწიფოთა მტკიცე ვალდებულება, რომ არ გამოიყენებენ ატომურ იარაღს არაატომურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და არ დაემუქრებიან ასეთი იარაღის გამოყენებით.

კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა აგრეთვე ლიბიის წარმომადგენელი შალფი.

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ მეორეგზობის საკითხთა კომიტეტში ვრცელი განცხადება გააკეთა ინგლისის წარმომადგენელმა ფ. ბრაუნმა, რომელიც შეეცადა რაიმე დაეპირისპირებინა ადენის „წარმომადგენლის მამხილებელი გამოსვლისათვის ინგლისის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ სანხრეთ არაბეთში. ფ. ბრაუნი აქტიცებდა, რომ ინგლისის მთავრობას სურს სანხრეთ არაბეთის პროტექტორატებისა და კოლონია ადენისაგან შექმნას „ერთიანი, სიცოცხლისუნარიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო სამხრეთ არაბეთში“.

მაგრამ როგორც ყოველმხრივ თვალნათლივ დაადასტურეს კომიტეტში ადენის წარმომადგენელმა, თვით მარიონეტული ფედერაციის შექმნა იყო არა უკან დახევა ძველი პოლიტიკისაგან „გათიშე და იბატონე“, არამედ მხოლოდ მისი სახე შეცვლილი ფორმა.

„სამხრეთ არაბეთის ნახევარკუნძულის ეროვნული ფრონტის“ გენერალურმა მდივანმა კაპთან ა-შ-მაამმ სხდომის მონაწილეებს შეახსენა, რომ 1959 წელს ფედერაციასთან დადებული ინგლისის ხელშეკრულების მუხლები ადასტურებენ ინგლისელ კოლონიზატორთა ნამდვილ ზრახვებს: ნომინალურ — დამოუკიდებელ სახელმწიფოში დაარეგულონ სასულთნოები, რომლებსაც ეგი იყენებდა იმისათვის, რათა ყალბი წარმოდგენა შეექმნა კუბის რევოლუციაზე.

ეს მოკმედება, ნათქვამია ცნობაში, რაც შეუთავსებელია კორესპონდენტა საქმიანობასთან, მოხდა ისეთ პირობებში, როდესაც კამარიოკის ნავსადგურით კუბის ტერიტორიაზე ჩამოსულ უცხოელ ჟურნალისტებს ყოველგვარი შესაძლებლობა მიეცათ მუშაობისათვის.

ბირმის ეროვნულ-განმათავისუფლებელი საბჭოს ინფორმაციის კომიტეტი

რანგუნი, 19 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ბ. ვასილიევი იტყობინება:

ბირმის რევოლუციურმა საბჭომ გამოსცა კანონი, რომელიც მთავრობას აძლევს უფრო ფართო უფლებას ამ ქვეყანაში განახორციელოს სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები. კანონს, რომელიც დღეს გამოქვეყნებულია გაზეთებში, ქვია „კანონი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია სოციალისტური ეკონომიური სისტემის მენეჯმენტის დაჩქარება“, და ძალაში შედის დაუყოვნებლივ. ახალი კანონის მიხედვით მთავრობას, კერძოდ, უფლება აქვს სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადოს ყოველი უმოქმედო საწარმო.

ახალი კანონი არ ცვლის სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების ძირითად მიმართულებასა და ხასიათს. ამასთან იგი რამდენადმე ცვლის მთავრობის კონტროლის ფორმას, სახელმწიფოს საშუალებას აძლევს საწარმოთა ნაწილობრივი ნაციონალიზაციისა და კანონში მოხსენებულ სხვა ღონისძიებათა განხორციელებით უფრო მოქნილად იმოქმედოს კერძო საწარმოთა საქმიანობაზე და იბრძოლოს წარმოების გადიდებისათვის, აგრეთვე ებრძოლოს სპეკულაციასა და შავ ბაზარს.



მოწოდება ერთობისათვის

პარა, 19 ოქტომბერი. (საკდესი). საჭიროა ყველა განმათავისუფლებელი მოძრაობის მოქმედების ერთობა, რომ მოვსპოთ კოლონიალიზმის უკანასკნელი ნაჩენები აფრიკაში და დავამარცხოთ დასავლეთის იმ სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომლებიც ან თვითონ არიან კოლონიზატორები, ან მხარს უჭერენ კოლონიზატორებსა და რასისტულ რეჟიმებს. ასეთი დასკვნა გამოიტანა დამოუკიდებელ ტერიტორიებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობისადმი აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების დახმარების კოორდინაციის კომიტეტმა (აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის ცხრათა კომიტეტი), რომლის სხდომები აკრაში მიმდინარეობს.

ინფორმირებული წრეების ცნობით, ამ დებულებას შეიცავს მოხსენება, რომელიც ცხრათა კომიტეტმა წარუდგინა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს.

აფრიკელ ხალხებს ძვირი უჯდებათ ის, რომ ერთობა არა აქვთ, ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში.

მოხსენებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ პორტუგალიის კოლონიებში მძიმე შედეგი მოჰყვა განმათავისუფლებელ მოძრაობათა უქონლობას. ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად ცხრათა კომიტეტის წინადადებაა შეიქმნას ერთიანი კოორდინირებული ფრონტი. ამასთან ცხრათა კომიტეტმა ჯეროვნად შეაფასა „პორტუგალიის“ გვინეის განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომლის შედეგად პორტუგალიელ კოლონიზატორთაგან გაათავისუფლეს ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ცხრათა კომიტეტმა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ საიდუმლო სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ შეთანხმებებს, რომლებიც დიდი პორტუგალიას, სამხრეთ როდეზიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შორის.

ცხრათა კომიტეტის წინადადებაა განხორციელდეს ახალი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიურ საქმიანებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ. კომიტეტის წინადადებაა ამ მიზნით შეიქმნას მინისტრების საბჭოს საეკონომიური კომიტეტი, რომელიც თვალყურს ადევნებს იმას, რომ განუხრელად შესრულდეს გადაწყვეტილებანი ბოიკოტის შესახებ.

შეეხო რა ბეჩუანალენდის, სვაზილენდისა და ბასუტოლენდის საკითხს, ცხრათა კომიტეტმა ურჩია აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს გამოძებნოს ისეთი გზები და საშუალებანი, რომ შემცირდეს ამ ტერიტორიების ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაზე. არ შეიძლება ნათქვამია მოხსენებაში, რომ ეს ტერიტორიები შთანთქას ფერვურდის რეჟიმმა.

აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს მიმდინარე სესიის განსახილველად კომიტეტმა შეიტანა მთელი რიგი სხვა წინადადებანი, რომელთა მიზანია კოლონიური და რასისტული ჩაგვრისაგან აფრიკის სრული განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერება.

აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს სესია

აკრა, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს სესიაზე მუშაობას განაგრძობდა სხვადასხვა კომიტეტი.

კონფერენციასთან დაახლოებული წრეების ცნობებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც პოლიტიკურმა კომიტეტმა განიხილა მუშაობის დროს, იყო აფრიკის კონტინენტური მთავრობის შექმნის საკითხი. ამ კომიტეტმა განიხილა აგრეთვე მოხსენებანი აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის ეკონომიურ, სოციალურ, სამხედრო და სხვა დარგებში აფრიკის ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ. ეს ბოლო ეხება ეროვნულ, საერთაშორისო და აფრიკის სხვა ორგანიზაციათა სტატუსის საკითხს და დაამთავრა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის ეგვიპტის „არჩევა“. კომიტეტები განაგრძობენ მუშაობას.

ბონის თავდაცვის მინისტრი ფონ ჰასელი საკმაოდ ბმირად გამოდის აგრესიული სიტყვებით. ამას წინათ განაცხადა, რომ „ორი წლის შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ისევე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს, მსოფლიოში ყველაზე უკეთესი არმია ეყოლება“...

სამხედრო დამნაშავეებს ჰიმლერს, გერინგს, იოდლსა და კეიტელს ამ ბაქია განცხადების მოსმენა რომ შეეძლოთ, ისინი (როგორც ამ ნახატზე) ომის გამჩაღებელს ნაცისტურად მიესალმებოდნენ:

— ჰაილ ჰასელ!

ნახატი პარლის ჟურნალ „დიკოგრაზიდან“.

ამერიკელ ტროცკისტთა ბანდა

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკელ ტროცკისტთა ბანდა ცდილობს ინფორმაციის ბაზრის ბოიკოტი გაუკეთოს ამერიკელ ტროცკისტ ალბერტ ჰალერის ბიოგრაფიას, ამბობს ამერიკელ ჟურნალისტ ალ ალტერი. ალ ალტერი ამბობს, ეს ბიოგრაფია ეფუძნება ალბერტ ჰალერის ოჯახის ბევრ ინფორმაციას, ეს ინფორმაცია ალ ალტერ ინფორმაციის ბაზრისთვის ბოიკოტ გაუკეთეს ამ ბიოგრაფიის ბეჭდვა, ამ ბიოგრაფიის ბეჭდვა ეფუძნებოდა

რუსთაველის კვალდაკვალ გამოქვაბულებში





ოთა რუსთაველის ეპოქის ძველქართული წარწერა და ვერცლის თასები, მეცნიერებისათვის უცნობი ქვაბსაცხოვრისები და არაერთი ნნიშვნელოვანი მინაწერი — აი ის „ნადავლი“, სპელეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ რომ მოგვიტანა ეს წელს.

კლდეში ნაკვეთი ეკვბების შესწავლა — სპელეოლოგია ყოველთვის ახალ საიდუმლოებას გვიხსნის. ამიტომ ქართველ სპელეოლოგთა საქმიანობას შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს ჩვენი ხალხი. სპელეოლოგია ფრიად პოპულარული მეცნიერება გახდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა სპელეოლოგიურმა კომისიამ, რომელსაც აკადემიკოსი ნ. კეცხოველი ხელმძღვანელობს, წელს ხელოვნურ ქვაბთა შესასწავლად ორი ექსპედიცია მოაწყო.

პირველი ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ: სპელეოლოგიური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კ. ჯავრიშვილი (უფროსი), ინჟინერები ლ. მგალობლიშვილი და ი. კოტახიძე, არქიტექტორი ი. ავდალოვი, მთამსვლელი გ. მაჭარაშვილი, სპელეოლოგი ნ. ერქომაიშვილი, კინოოპერატორი მ. ცქვიტინიძე, ბაღოლი ს. ნამგალაური და ამ სტრიქონების ავტორი.

ექსპედიციამ მთამსვლელური ტექნიკის გამოყენებით მესხეთში მდ მტკვრის ხეობაში დაზვერა და შეისწავლა ქვაბთა კომპლექსები: ოლოდა, ოსოსმანი, შვიდრაკანი, სარო, ერკოტა, საყუდაბელი. ძველი, ბოიათხთი; ქართლში: ძამის ხეობაში — აბუხალო, თეძმის ხეობაში — თეკნლა (რკონის მონასტერთან), კავთურას ხეობაში — თამარის ნაბინაკარი. ეს კლდის მონასტრები, საეპისკოპოსო თუ სოფლის სახიზრები. დარნდი და სამზეერები მჭიდროდ დაკავშირებულია ქალაქისა თუ სოფლის, ეკლესიისა თუ ციხის კვლევა-ძიებასთან. სწორედ ეს ურთიერთობა განაპირობებდა ქვაბთა წარმოშობა-განვითარებას, სახიზარ-დარნები კი მათთან ერთად ქმნილა ქვეყნის ერთიან თავდაცვითს სისტემას.

ამ ქვაბთა ქრონოლოგიაც VIII-IX სს მოკიდებული XIII-XIV სს ისაზღვრება. შესწავლილი ქვაბები თვალნათლივ გვიჩვენებს წინაპართა დიდ შრომითს შემართებას, მუდამ კლდეებში რომ ქმნიდნენ ქვაბსაცხოვრისებს. ეს მიუვალი „ქვაბნაშენები“ (ორეზი, აბუხალო, თეკნლა) წყალსაცავებითა და ზღუდეებით, სახიზრებისა თუ მონასტრების სახით სწორედ მტრის მრავალრიცხოვანი თარეშის შედეგია.

დღეს ჩვენ თოკზე გამობმულნი რომ ვიკვლევთ ცაში დაკიდებულ ძეგლებს, თვალნათლივ წარმოგვიდგება აქ წარსული ცხოვრების სურათები, დაბლა ხეობაში არაერთხელ რომ ჩამკვდარა და კვლავ მძაფრი ძალით გაჩაღებულა. თუ რამ აიძულა ხალხი თეკნლას ქვაბნაშენში მოეწყო სახიზარ-მონასტერი და განეგრძო კულტურული მოღვაწეობა, ამაზე დაბლა ხეობაში რკონის მონასტრის წარწერები მოუგითხრობს მოგვითხრობს რკონში ქართველთა სამშენებლო მოღვაწეობაზე და იმ საშინელ ნგრევა-აოხრებაზე, თემურ ლენგმა რომ მიაყენა აქაურობას. უკვე იკვრება ეთნიანი ჯაჭვი რკონის მონასტრისა და თეკნლას ქვაბნაშენს შორის. ვიღებთ წარწერების ასლებს, ცხრა სტრიქონიანი წარწერა „დიწერა ხელითა მიქელ ეზოსხუცესისაითა“. იგი წმინდა მარიამის ეკლესიის შშენებელთა შენდობას ითხოვს. წარწერა X საუკუნის დამწერლობის შესანიშნავი ნიმუშია. „აქა მოვიდა ლენდდემურ და დააქცივან ეკლესიანი და რკონნცა დააქცია. ქორონიკონი იყო 88“, ე. ი. 1400 წ. — გაითხულობთ ერთგან. „აქა ამოსწყვა რკონი თავის მრეველითა“ — კვითხულობთ მეორეგან. ეს მოკლე ცნობები რამდენი მწუხარებისა და უბედურების ანარეკლია და მისი დამადასტურებელია თუკნელაც, ქვა და კლდე რომ შეკირულა ერთიან სიმაგრედ. მუუდგომელ ქვაბნაშენებში არც მხატვრობა დავიწყებიათ მოღვაწე-მაშენებლებს. თეკნლა-აბუხალოს ეკლესიები XIII საუკუნის კედლის მხატვრობის შეასანიშნავ ნიმუშებს იძლევა.

მცირე შესვენება, და ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით კვლავ ასალი ექსპედიცია მტკვრის ხეობაში. ჩემთან ერთად არიან ნ. ერქომაიშვილი და ფიქოლოგი ლ. კაციტაძე, აქვეა ვარძიის ძეგლ-ნაკრძალის დირექტორი ე. სარამვილი.

მესხეთი... ვარძიის ქვაბთა მონასტერთან დავიდეთ ბინა. ვიწყებთ ვნობილ და წინა ექსპედიციის დროს ასლად დაზვერილ ქვაბთა ფიქსაციას:

ცხობილ ქვაბთაგან კვლავ ვანიქვაბი (ვაპანის ქვაბი) შევარჩიეთ, ეს ქვაბთა მონასტერი ბრაკალმეტყველი ძეგლია. აქ მრავალ სართულად განლაგებული ათეულობით ქვაბსაცხოვრისია ეკლესიებით, კედლის მხატვრობით, წყალსადენით და წყალსაცავით, ძველქართული წარწერებით და სხვ.

კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი დიდი ტაძარი ჩამონგრეულა და კლდის ნანგრევებშია ჩაფლული. ამ ნანგრევებით შექმსილი ციცაბო ფერდობი ქვაბებსა და ეზოს თავს ადგავლადავდასტუროთ ტაძრის წინა კედლის თავისებურება და კვლავ წარწერაზე ვოცნებობთ. შედეგმა მოლოდინი გადააჭარბა. ისევ მიწისძვრის საშინელი სურათი, ეკლესიის კედლების გასწვრივ ჩამონგრეულ კლდის ფრაგმენტებსა და გამიწოლილ ქვიტკირის კედლებს შეა ხან აქ, ხან იქ ვაწყდებით გაკეთილი ადამიანთა ჩონჩხებს. ერთი მათგანის უკანასკნელი წუთების აღდგომაც ხერხდება. მიწისძვრით შეშფოთებულს ვერცლის სამი თასი ერთმანეთში ჩალაგებული ხელში ჩაუჭიჯავს და, ვიდრე გონს მოვიდოდა, კლდე დასცემია, ჩაულეწავს და გულთან ჩასუტებულ თასებთან ერთად საუკუნოდ დამარხულა. მიწის ქვეშ გამოჩნდა ტაძრის წინა გრანდიოზული კედელი და სამრეკლოს ჩუქურთმიანი ქვები. ტაძრის შესასვლელთან ვაოულობთ ბაღავრის ორად გატეხილ ქვას სამშენებლო წარწერით „ესენ ქრისტე ადიდე ორთავე შინა სუფეავთა, მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე იჩქითმან გურგენისძემან აღვაშენე კედელი ესე და დავასვენენ ხატნი მაცხოვრისაი, ღმრთისმშობლისაი, ნათლისმცემლისაი და ჯუარი წმიდისა სვიმეონისი. ვინცა ილოცვიდეთ მეცა მომიხსენეთ“.

იჩქით გურგენის ძე წუნდის ეკლესიის მშენებელია, ამასთან მას ღვაწლი მიუძღვის იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის წინაშე, სადაც მისი აღაპია დაფული. მაგრამ საერთოდ არ ჩანდა, თუ როდის ცხოვრობდა იჩქითი. აღმოჩენილი წარწერა მნიშვნელოვანია არა მარტო ვანიქვაბის, არამედ აგრეთვე წუნდის, ვარძიისა და თმოგვის კულტურული და სამშენებლო ურთიერობის შესასწავლად. ამასთან, მიკვლეული წარწერა შოთა რუსთაველის თანამედროვის იჩქით გურგენის ძის მოხსენიებით ასალ მასალას გვაწვდის რუსთაველის ეპოქაზე და საერთოდ რუსთველოლოგიური კვლევა-ძიებისათვის, სადაც იჩქით გურგენის ძემ კარგა ხანია დაიმკვიდრა ადგილი.

ვერცხლის თასები სადად არის ორნამენტირებული, სამივე თასი ერთი ოსტატის ნაკეთობაა. ერთი თასი შიგნიდან მოოქროვილია. თასები ხასიათდება დაბალი ოვალური კალთებითა და უკუსლო ფსკერით. თასი შეიცავს ქართულ ორნამენტს — ბრიალა-მზე ფსკერზე და სხივები კალთაზე. ფსკერის შუაში ამოტვიფრული კოკია ორნამენტით, რომელიც ერთ შემთხვევაში ცნობილ სოლომონის ბეჭედს შეიცავს შუაში ჯვრით, მეორე შემთხვევაში კი ყვავილოვანი ჯვრით შედგენილი ორნამენტია. საერთოდ, ბრიალა (ბორჯღალი) არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მასალებით მზის კულტთან არის დაკავშირებული და მისი გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია წინაქრისტიანული ხანის I-III საუკუნეებიდან დღემდე ქართულ ხალხურ შემოქმედებაში. თასები კი XIII საუკ. ბედური ხელოვნების საინტერესო ნიმუშებია.

წერილობითს წყაროებში ძვირფასი ჭურჭლის არსებობის არაერთი ცნობაა რუსთაველის ეპოქაში, მაგრამ გათხრებით ეს ეპოქა უმთავრესად კერამიკით არის წარმოდგენილი. ამიტომ ვანიქვაბის ვერცხლის თასები რუსთაველის ეპოქაში მათი უტყუარი არსებობის დადასტურებაა და ერთხელ კიდევ შეგვახსენებს საუკუნეთა განმავლობაში მტრის ამაოხრებელ თარეშს, ქვეყნის კულტურას რომ სპობდა და ძარცვადა.

შოთა რუსთაველთან, მის ეპოქასთან დაკავშირებით ყოველი ახალი მონაპოვარი ძვირფასია მეცნიერებისათვის, რადგან თანდათან ფართოვდება გენიალური პოეტის ბიოგრაფიის გარშემო კვლევა-ძიების არე.

ამ ძეგლების აღმოჩენა ერთხელ კიდევ მიუკვანშნებს მესხეთის ამ მხარეში ინტენსიური კვლევა-ძიების საჭიროებაზე. ვანიქვაბის მონასტერი ის ძეგლია, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე აღრინდელი — XV საუკ. მაწერულის ორი სტროფი შემოინახა. მესხეთის მიწაზეა მამოფაანებული „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი — XVI საუკ. ხელნაწერიც, რომლის ფრაგმენტები ახალ ცისის მუზეუმში ინახება. მესხეთის ტერიტორიაზეა ქვაბის ხევის ეკლესიის XII-XIII სს მოსატულობა ახალგაზრდა ერისთავის შოთას სურათით. ვანსვენებული ია აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმისა არ იყოს. „მე ამით რუსთაველისაკენ არ ვეწევი შოთას... თუმცა შეეძლებელი არაფერია. ამ ჩვენს შოთას თავისუფლად შეეძლო რუსთავიცა და რუსთაველობაც მიეღო...“ აკად. აკ. ბარამიძე სწორედ შენიშნავს, რომ „ქვაბისხევის ეკლესიის მხატვრობა თავი-თავადაც ბევრის მეტყველი დოკუმენტია“. ხალხური გადმოცემა შოთა რუსთაველს მესხეთის რუსთავთან, პატარაშენთან და ვარძიასთან აკავშირებს ეს თქმულებები კი მესხეთში უაღრესად ფესვგადგმულია. ბუნებრივია გვაგონდება აქვე ზარზმის წარწერაში მოხსენიებული შოთა და სადგერის XV-XVI საუკუნეების შოთაშვილების ოდაც. ერთი სიტყვით, შოთა რუსთაველის გარშემო არსებული მასალები მესხეთის იმ მიდამოებში იყრის თავს, სადაც XII-XIII საუკუნეებში მოქმედი ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლებია განლაგებული, როგორიც არის ვარძია და ვანიქვაბთა მონასტრები, წუნდის ეკლესია და თმოგვის ციხე-ქალაქი. ეს ძეგლები ბრწყინვალედ გვისურათებენ რუსთაველის ეპოქის იმ კულტურულ-ეკონომიურ სიძლიერეს, რასაც მატიანეები აღნიშნავენ.

ციხე-ქალაქი თმოგვიც ხომ ბრწყინავდა რუსთაველის ეპოქაში. ამის მოწმედ კლდის ქიმზე გადმომდგარ გულ-მკერდშეღებილი, გუმბათიანი, მოხატული ეკლესიაც გამოგვადგება.

თმოგვის ნაქალაქარი ვერ იქნა და ვერ გასცილდა დაზვერვითი ხასიათის კვლევა-ძიებას. დაზვერვა კი მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის—სასახლეთა და ეკლესიათა ნანგრევები, ციხის გრანდიოზული კედელ-ბურჯები, გამოქვაბულები, სამაროვნები, ძველქართული წარწერები. ეი ახლაც თმოგვის კლდის შვრილებში ქვაბთა კომპლექსებს ვსწავლობთ. ვეშვებით იმ გრძელი გვირაბის ნანგრევებში, რომელიც კლდის თავიდან მდინარე მტკვრამდე უფსკრულში ღრმად ეშვება. აზიდული კლდე დაცხრილულია სამზერი ქვაბებით. ქვაბსამზერიდან დავყურებთ ძველ ნაქალაქარს, ვანიქვაბისა და ვარძიის ერთდროულად იმავე XIII ს. მიწისძვრით კლდის ნანგრევებმა რომ დაფარა.

ხელოვნურ ქვაბთა კვლევას — სპელეოლოგია, სამწუხაროდ, ხაკმო მასშტაბი არ გააჩნია. სპელეოლოგიის ამ დარგში მწვავედ იკრძნობა სპეციალისტთა ნაკლებობა. ხელოვნურ ქვაბთა შესწავლას კი, როგორც ცნობილია, ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს ძველი ქართული კულტურის შესასწავლად. საკმარისია გავიხსენოთ ლეონტი მროველის (XI ს.) წარწერის მიკვლევა ორეზის ქვაბებში. საინტერესო მასალები შეეგვინა ვარძიისა და მისი მიდამოების, უფლისციხის, სამსარის, შიომღვიმის, დავით გარეჯის, ბეთლემის ქვაბთა და სხვა კომპლექსების კვლევამ.

ქართულმა სპელეოლოგიკამ არაერთხელ დაანგარიშა თავისი არსებობისა და ზრდა-განვითარების აუცილებლობა. ამიტომ გადაუდებელ ამოცანად ისახება მრავალმხრივ მომზადებული ასალი კადრების აღზრდა.

დაე შოთა რუსთაველის იუბილესათვის მზადება საწინდარი გახდეს დიდი კვლევა-ძიებისა ამ მხარეში. ამის საჭიროებაზე უკვე მოპოვებული მასალები ამკარად მიუთითებენს.

გ. გაფრინდაშვილი,
ექსპედიციის უფროსი, არქიტექტურის კანდიდატი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

სურათებზე: წარწერის ფრაგმენტი, სადაც მოხსენიებულია მეფე და დედოფალი თამარ და იჩქით გურგენისძე; ვერცხლის თასი: თეკნლას ქვაბნაშენში ასვლის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტოები ნ. ერქომაიშვილისა.



თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1965 წლის 21 ოქტომბერს მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-10 მოწვევის საქალაქო საბჭოს მეოთხე სესია.

სესია გაიხსნება დღის 4 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 3 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ხსოვნისათვის

შესრულდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის აკაკი წერეთლის დაბადების 125 და გარდაცვალების 50 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისია პოეტ-აკადემიკოსის ი. აბაშიძის თავმჯდომარეობით.

20 ოქტომბერს გაიმართა საიუბილეო კომისიის სხდომა. ამ თარიღებისათვის მზადების შესახებ ილაპარაკა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა ბ. ფღენტმა.

საიუბილეო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება 14 ნოემბერს მოაწყოს მიტინგი პოეტის მშობლიურ სოფელ სხვიტორში. მიტინგს გახსნის საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი პ. ნოზაძე. აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი მოაწყობს დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას. ქართველი მწერლები ეწვევიან აგრეთვე სახლს სოფელ სავანეში, სადაც გლეხის ოჯახში იზრდებოდა მომავალი პოეტი.

15 ნოემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო. შესავალი სიტყვით საღამოს გახსნის საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე. მოხსენებას აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთებს პოეტი გ. აბაშიძე. ამავე დღეს ქართველი მწერლები უვავილებით შეამკობენ აკაკი წერეთლის საფლავს საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მთაწმინდაზე.

საზოგადოება „ცოდნა“ გაამართავს ლექციებს [illegible] — [illegible] სასწავლებლებში, სკოლებში გაიმართება ლიტერატურული დილები და საღამოები. პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ვაბოფენებს მოაწყობენ საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა. რესპუბლიკური პრესა სპეციალური ნომრებს მიუძღვნის აკაკი წერეთლის შემოქმედებას.

საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით წაიკითხავენ მის ლექსებს. პოეტს მიეძღვნება სპეციალური გადაცემები.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის განყოფილებანი მოაწყობენ საიუბილეო საღამოებს. ასეთი საღამოები გაიმართება რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებშიც. (საქლესი).

ი. კუპერმანი • ანგარიშს ზრდის

ოთხი დღის შესვენების შემდეგ გუშინ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საკონცერტო დარბაზში განახლდა ვ. ზრეგოლევისა და ი. კუპერმანის მატჩი ასაკრედიან შაში მსოფლიოს პირველობაზე. ამჯერადაც წარმატება ი. კუპერმანს ხვდა, მან გაიმარჯვა 48-ე სვლაზე. ეს იყო მატჩის მეთორმეტე პარტია.

ანგარიშია 8.4 ი. კუპერმანის სასარგებლოდ.

◆ ორი მატჩი

ტაშკენტი, 20 ოქტომბერი. (საკადრი). „პატეკორისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ დღევანდელი მატჩი უნდა ითქვას, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანი როდი იყო, ვიდრე ჩემპიონატის ლიდერთა ორთაბრძოლები. იგი წყვეტდა იმ მეორე გუნდის ბედს, რომელსაც უმაღლესი ლიგა უნდა დაეტოვებინა. შეხვედრა მიმდინარეობდა დამაბულად და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ბუენოს მოსკოვში შედგა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. თამაშობდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივისა“ და ბაკოს „ნეფტიანიკის“ გუნდები. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

◆ სპორტული ქრონიკა

სანტ-იაგოში გრძელდება „ხალხთა ძმობის“ საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. გათამაშდა 5 ტური. წინ აიიან საბჭოთა გროსმაისტერები **ვ. სმისლოვი** და **ე. გელერი,** რომლებსაც ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

მფლავე ბრძოლაში

რიგა. 20 ოქტომბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღევანდელ მეთორმეტე პარტიაში ნ. **ბაფრინდაშვილისათვის** ყველაზე საკმარისი იყო, რათა შეენარჩუნებინა მსოფლიოს ჩემპიონობა. მიუხედავად ამისა, იგი მხოლოდ მოგებისაკენ ისწრაფოდა.

ა. **კუშნირმა,** ამ მატჩში მეორედ გამოიყენა სიცილიური დაცვა, რომლითაც მან მეორე პარტია მოიგო. მსოფლიოს ჩემპიონმა კი ე. წ. სიცილიურ გამბიტს მიმართა, რაც პაიკის შეწირვასთან არის დაკავშირებული. ეს დასაწყისი მეტად იშვიათად გვხვდება სატურნირო პრაქტიკაში და მას არც თეორეტიკოსები უთმობენ სათანადო ყურადღებას, თუმცა ა. **ალიოხინის** აზრით სიცილიური გამბიტი თეორებს საუცხოო იერიშს აძლევს.

პრეტენდენტმა არ მიიღო პაიკის შეწირვა. მაშინ ნ. **ბაფრინდაშვილმა** ხელი იგდო ინიციატივა და შეავიწროვა შავები. შუა თამაშში მსოფლიოს ჩემპიონს შეეძლო აშკარა უპირატესობის მოება, მაგრამ რამდენადმე პასიური გაგრძელება აირჩია. მიუხედავად ამისა, უპირატესობა ყოველთვის თეორეტიკს მბარეზე იყო.

დასკვნით სვლებს მეტოქეები ელვის სისწრაფით აკეთებდნენ. ამასთან პრეტენდენტი უფრო ძლიერ ციტენტაში აღმოჩნდა. როგორც თეორი, ასევე შავი მეფე ცუდად იყვნენ დაცული და მეტოქეები ცდილობდნენ გადამწყვეტი იერიშის მიტანას. ახლა უკვე საკითხს წყვეტდა, თუ პირველად რომელი მოასწრებდა პირველი დარტყმის მიყენებას.

ბრძოლა გართულდა. ნ. **ბაფრინდაშვილი** კუთი, ეტლითა და ლაზიერით დიდუფაქრა შავების მეფეს. ამასობაში ა. **კუშნირმა** მოიგო პაიკი და ლაზიერის გაყვანის საშიშროება შეიქმნა.

პარტია გადაიდო უაღრესად რთულ პოზიციაში.

გ. გამრეკელი.

• • •

მეთორმეტე პარტია

ნ. ბაფრინდაშვილი — ა. კუშნირი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∂f3 ∂c6 3. d4 cd 4. ∂:d4 ∂f6 5. e4 d6 6. ∂:d3 ∂f6 7. 0—0 e6 8. ∂e3 ∂e7 9. ∂f4 e5 10. ∂g5∂g4 11. ∂e2 ∂:f3 12. ∂:f3 0—0 13. ∂e3 ∂d7 14. ℓd2 ℓb8 15. ∂d5 ∂d8 16. b4 ∂b6 17. ∂ac1 ∂:d5 18. ed ∂e7 19. ∂c2 f5 20. ef ∂:f5 21. ∂g4 ∂:e3 22. fe ∂b6 23. ∂e6+ ∂φh8 24. ℓd3 g6 25. ∂cf2 ∂:f2 26. ∂:f2 ℓc7 27. ∂f7 ℓc1+ 28. ∂φf2 a5 29. b5 ∂e5 30. ∂f3 a4 31. ∂φg3 a3 32. ℓe4 b6 33. ∂φh3 ℓe1 34. ∂g3 ℓb4 35. ℓc2 ℓ:b5 36. ℓf2 ℓe8 37. ∂f7 ℓd8 38. ∂f3 b5 39. e4 b4 40. ℓf1 b3 41. ℓc1 პარტია გადაიდო. მოგვყავს გადადებული პოზიცია.



თეორები: ნ. ბაფრინდაშვილი: ∂φh3, ℓc1, ∂f7 ∂e6, პ-ბი: a2, d5, e4, g3, h2 (9)

შავები: ა. კუშნირი: ∂φh8, ℓd8, ∂a8 ∂c5 პ-ბი: a3, b3, d6, c5, g6, h7 (10)

შავებმა ჩაიწერეს 41-ე სვლა

მეზობლისაკენ



ნახ.1

უკანასკნელ დღეებში ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე კომეტა იკეია-სეკი ეპეშმარიტად პირველი სიდიდის ვარსკვლავი გახდა. ეს არც არის გასაკვირველი — იგი იმ კომეტების მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც მზეს ახლო მანძილზე ჩაუვლიან.

ცის ამ მოგზაურის ორბიტის უკანასკნელი დაზუსტებანი, რაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტმა განახორციელა, მოწმობენ, რომ 21 ოქტომბერს დაახლოებით 7 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით კომეტა წამში 500 კილომეტრი სიჩქარეთი 400 ათას კილომეტრ მანძილზე მიუახლოვდება ჩვენი ვარსკვლავის ზედაპირს. უფრო მოსალოდნელია, რომ კომეტა შეიოეკლის მზეს და კვლავ გაემართება კოსმოსის სივრცეებში. მაგრამ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ მზესთან შეხვედრა საგალოდ დამთავრდეს კომეტისათვის, იგი შეიძლება მთლიანად ორთქლდეს მზის მეხუნვარე სხეულში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტის ა. ნ. სიმონენკოს ნახატებზე ოქვენ ხედავთ მზის ახლოს კომეტის გავლის სქემას. პირველ ნახატზე ნაჩვენებია ცის მოგზაურის მომავალი გზა კომეტის ორბიტის სიბრტყეში 21 ოქტომბერს დილით. მეორე ნახატზე კი ჩანს, რომ კომეტა გაივლის სივრცეში, რომელიც უპირავთ მზის გვირგვინსა და ერუპტიულ პროტუბერანცებს — პლაზმის შენადედებს, კოლოსალური სიჩქარეებით რომ მოძრაობენ. ამ პერიოდში კომეტაზე დაკვირვება დიდ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს. ყველაზე ხელსაყრელი პირობები ამ დაკვირვებისათვის ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში იქნება.

ნახ.2

დაბა ნაუჩნი (ყირიმის ოლქი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტელესკოპები აკვირდებიან კომეტა იკეია-სეკის მოძრაობას. 21 ოქტომბერს ამ კომეტამ ძალიან ახლოს უნდა ჩაუაროს მზეს.

— ჩვენ მოვახერხეთ, — განაცხადა ობსერვატორიის ექსპერიმენტალური ასტროფიზიკის განყოფილების გამგემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. პროკოფიევმა, — გადაგვეღო ახალი კომეტის ფოტოსურათი.

სურათზე: კომეტა იკეია-სეკი, გადაღებული ყირიმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში **1965 წლის 30 სექტემბერს.**

საკადრისის ფოტოქრონიკა.

დ. გ. მჟავია

ქართული საბჭოთა თეატრის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიმიტრი მჟავია. დ. მჟავია ათეულ წლების მანძილზე დაუღალავად მუშობდა სასცენო სარბიელზე. ი ფ ი ვ ატაცებითა და მთელი ენერგიით ემსახურებოდა ქართული თეატრის საქმეს.

დიმიტრი გიორგის-ძე მჟავია დაიბადა 1896 წელს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1916 წელს წავიდა რუსეთში, ნოვოჩერკასკში. სწავლის გასაგრძელებლად საინჟინრო განხრით. 1918 წელს დიმიტრი მჟავია ბრუნდება საქართველოში და თბილისში შედის ჯაბადარის სათეატრო სტუდიაში, რომელშიც აღიზარდნენ ქართული თეატრის გამოჩენილი ოსტატები. მას შემდეგ იგი მხარში უდგას თეატრალური ცხოვრების ყველა მოვლენას მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეებით.

რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე მან განასახიერა შპიგელბერგი (შილერის „ყაჩაღები“), ბარონ როზენი (ბაშნიაშვილის „აჩსენა“), გარსია ლორკა (გ. მდივნის „ალეზარი“), კასიო (შექსპირის „ოტელო“), ლენინი (შოლვა დადიანის „ნაპერწკლიდან“), შმაგა (ოსტროვსკის „ფულნაშაფოლ დამნაშავენი“), შადიმანი (ს. შანშიაშვილის „გიორგი საკაძე“). მამაეი (ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“), შოისკი (ვ. სიდოროვიოის „დიდი ხელმწიფე“) და სხვ.

დიმიტრი მჟავია იყო შესანიშნავი მოქალაქე, გულისხმიერი მეგობარი. ასეთად დარჩება ის მეგობრებისა და მეყურეზლების ხსოვნაში.

საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

ქ. თბილისში 1965 წლის 22—26 ოქტომბერს ეწყობა

საბჭალსო მოხმარების ნამატი საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის

ბაზრობაზე მოწვეული არიან ყველა სისტემის სბბითუმი და საცალო სავაჭრო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან.

ბაზრობაზე ფართო ასორტიმენტით იქნება წარმოდგენილი სამრეწველო და სასურსათო საქონელი.

ბაზრობა გაიმართება ქ. თბილისის სპორტის სასახლეში.

ბაზრობის ყველა საკითხზე გთხოვთ მიმართოთ შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ., № 9, საქართველოს საკავშირო-საშუამავლო კანტორა. ტელეფონები 5-76-40 და 5-76-70.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

„დინამოს“ სტადიონი

აკ. წერეთლის პროსპ. № 2.
ტელ. 5-21-62.
22 და 23 ოქტომბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

„ბორეადო“ მოსკოვი — „დინამო“ თბილისი.

22 ოქტომბერს სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 18 საათზე.

23 ოქტომბერს ძირითადი შემადგენლობანი.
დასაწყისი 16 საათზე

23 ოქტომბრისათვის ბილეთები წინასწარ იყიდება ყველა სახის აბონემენტებზე „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 21 და 22 ოქტომბერს 11-დან 18 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 23 ოქტომბერს 10 საათიდან.

თეატრები

21 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — დაკარგული ბარათი (უაბონემენტოდ), **მარჯანიშვილის სახელობის**— მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (1-ლი აბონ. მე-8 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ჩემი უფროსი და, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სტუდენტები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შაითან ხიხო (№ 56 აბონ. დილის 10 ს.), როცა მთავრდება ბავშვობა (№ 5 აბონ. საღ. 6 ს.).

რადიო

21 ოქტომბერი
პირველი პროგრამით

09.15 — სიმღერები ე. კაცოგაშვილისა და ი. ჯავახიშვილის შესრულებით, 11.15 — დე-ფაფალა. საბალეტო სიუიტა „სიყვარული-ჯადოქრობა“; მიიო. „პროკანსული სიუიტა“, 12.30— საუბარი — „საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების დიდნიშვნელოვანი ბერკეტი“, 12.45 — ა. მაჭავარიანის კამერული ნაწარმოებები. 13.10 — ვალსები, 13.40 — აზერბაიჯანული სიმღერები, 14.00 — მუსიკალური რადიოდდგმა „პეტია კლიპა“ (მოსკოვი), 17.15— ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.10 — პოპულარული საოპერო მუსიკა, 18.45 — რომანსები ბ. გმირიას შესრულებით, 19.35 — „მილოთნთა ლენინური უნივერსიტეტი“, 19.45 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 20.15—